სახალხო გაზეთი

№ 639 სამშაბათი, 3 ივლისი, 1912 წ. № 639

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიკაის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუუქდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ ერთ ინფორმაციებ; ... თვით მხოლოდ დიდი წერილები და ... პირადად ... პარაკები შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № უველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

მისამართის გამოცვლა:

ტფილისისა ტფილისს გარეთისაზე ღირს . . . **40 კაპ.** შეიძლება
და ქალაქ გარეთისა ქალაქ გარეთისაზევე ღირს მარკებით.
ტფილისს გარეთისა ტფილისისაზე . . . . . **უფასოა.**
და ეხლანდელი მისამართი ძველ მისამართზე .

ხელის მომწერმა, რომელიც მისამართს იცვლის, უნდა შეგვატყობინოს დაწვრილებითი მისამართი, როგორც ძველი (ქალაქ გარეთელთ შეუძლიანთ გაზეთის ბანდეროლი გამოგზავნონ) ის ეახალი.

„სახალხო გაზეთი"-ს კანტორა.

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა **1912 წლისათვის.**

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წლიური ხელის მომწერნი იღებენ პრემიად 1 წ. „ბრდღვინვა".

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
თვეში ღირს — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეშე).
საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ 8 მ. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მან., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

2 ივლისს ქ. თელავში გარდაიცვალა მასწავლებელი

დავით (დათა) **ნიკოლოზის ძე) გურჯულაძე,**

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე **ნატალია, მშობლები ნიკოლოზ** და **თინათინა** და **ძმა გიორგი ბურჯულაძენი, სიდედრი** და **სიმამრი გარსო** და **ნინო კურდღელაშვილები.** დასაფლავება მოხდება დღეს, 3 ივლისს, თელავის სასაფლაოზე. (1—1)

ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი (საზაფხულო შენობა).
ხუთშაბათს, 5 ივლისს 1912 წ.

საგანგებო საღამო

სხვა და სხვა საყმაწვილო სათამაშოები. ბაირადებით ხელში, მუზიკით სვლა, **საყმაწვილო წარმოდგენა** და **ცეკვა**

დასაწყისი საღამოს 5 საათზე დასასრული—9 საათზე.

სტუმრების ყმაწვილები შესასვლელ ფასს იხდიან 15 კაპ. საღამოთი, კლუბის საზაფხულ თეატრში წარმოდგენაა. დასაწყისი საღამოს 9 ნახ. საათზე. (2—1357—1)

ტფილისის ქერქო სამკურნალო

ძსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგან ავადმყ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
	ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
	მალალაშვილი გ. ვ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
	მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სანაზარო ავადმყ.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო ქალ. (ქირურგ. ფოლეული).	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	სულაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
	თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვთა ავადმყ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. ფსიქიკ. ავადმყ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ყელ. ყურ. ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
	ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავად.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და სანაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათა მანგ. Wassermsn. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კოხსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; „606" **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.60)

ახალი კლუბი

ოთხშაბათს, 4 ივლისს, და ხუთშაბათს, 5 ივლისს, კლუბის შენობაში დანიშნულია მეორე

საგანგებო საზოგადო კრება კლუბის წევრთა.

განსახილველია შემდეგი საკითხები;

1) გადასინჯვა კლუბის წესდებისა; 2) ზამთრის შენობის აგების შესახებ; 3) გადასინჯვა 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა; 4) სამუდამო წევრთა მიღება. (2.1357.1)

საზაფხულო ახალი კლუბი შენობა.
სამშაბათს, 3 ივლისს,

სიმფონიური საღამო,

მოსკოვის კონსერვატორიაში კურს-დამთავრებულ კოლორატურ სოპრანო **ა. დე-ოლივას** მონაწილეობით ბ სიმფონიური ორკესტრი ბ. ს. **პრესმანის** ლოტბარობით. ფასი თეატრის ბილ. 25 კ., სტუმ. კლუბ. შესასვლ. იხდიან: კაც. 50 კ., ქალ., სტუდ. და საშ. სკოლ. მოსწ. 25 კ. **ანონსი:** ოთხშაბ. 4 ივლისს, ჩვეულებრივი სინემატოგრაფი. (1.1357.1)

ამა წლის პირველ ივლისში ქ. ქუთაისში გამოდის
ყოვ.-დღიური საპოლიტიკო ბ სალიტერატურო ქართული გაზეთი

ჩვენი ცხოვრება

გაზეთი წლიურად ღირს	7 მ.	თვიურად ქუთაისში . .	80 კ.
ნახევარის წლით	„ 4 „	ქუთაისს გარეშე . . .	90 „
სამი თვით . . .	„ 2 „ 50 კ.	საზღვარ-გარეშე . .	14 მ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—სამი შაური, უკანასკნელზე—ორი შაური. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—სამი მანეთი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. სულაქველიძე.**

ფულის გამოსაზღვავნი ადრესი: Кутаисъ Ю тину Гавріиловичу Баланчивадзе.

ფული მიიღება მხოლოდ ბალანჩივ ძის სახელზე.

რედაქც. ადრესი: ქუთ. ალექსანდრეს ქუჩა, თედორაძის სახლი № 6. (5 1270.4)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება წიგნები: ისტორია, საეკლესიო და საისტორიო მასალები:

ჯავახიშვილი ივ., ქართველ ერის ისტორია წ. I, ფასი	80 კ.	ფარსადან გორგიჯანიძე და მისი შრომანი	40 „
საქართ. ეკონომ. ისტორია .	40 „	ქართული მწერლობა, წიგ. II,	80 „
ქართ. მეფე და მისი უფლ. ისტ.	15 „	ბაქრაძე და Д. Н. Бердзеновъ. Тифлисъ въ историческомъ и Этнографическомъ отношеніяхъ .	1 მ.
ჯანაშვილი მ. აღვადგინე, ანუ „სამი ისტორ. ქრონიკისა და წმ. ნინოს ცხოვრების" გასაგებ შესასწორ. სახელმძღვან.	30 „	Бѣлокуровъ. Сношенія Россій съ Кавказомъ	3 მ.
ნაშრომი I, ...	20 „	Матеріялы для исторій Россій	3 მ.
„ II, ...	20 „	Бурнашевъ. Картина Грузій, или описаніе политическаго состоянія царствъ Карталинскаго и Кахетинскаго	25 „
„ III, ჩემი შენიშვნები რუსთაველის გარშემო. ქართ. ბიბლია. მე-6 საუკ. ტექსტები. ლექსიკონი	20 „	Гзеліевъ Дзеглисъ-цера . .	50 „
მეფე ერეკლე	10 „	Гогебашвили. Правда о Тифлисѣ	20 „
საქართველოს ისტორია .	1 მ.	Двѣ святини въ Кахетіи и придѣлы Мцхэтскаго храма .	10 „
უკვდავთა ღაღადებანი . .	10 „	Восковая свѣча въ Греко-грузинской церкви	20 „

ადრესი დეპეშისათვის: Тифлисъ О-во распр. Гр. ((წ. 1141.65)

ქ უ თ ა ი ს ი

ქუთაისში რკინეულოგის სავაჭრო

სტეფანე პავლეს ძე ფეიქაროვისა

ამით აუწყებს თავის პატივცემულ მყიდველებს, რომ მან ცეცხლის შემდეგ **განაახლა ვაჭრობა** თავის საკუთარ სახლში, ვორონცოვის ქ. მაღაზიაში გაიხსნა ვაჭრობა სხვა და სხვა სისტემის **რევოლვერებისა და სანადირო თოფებისა.**

(25.1252.93) პატივისცემით **ს. პ. ფეიქაროვი.**

ქ უ თ ა ი ს ი

გამოვიდა ნ. პ. სულხანიშვილის მიერ ნოტებზე შემუშავებული **„ცისკრის"** საგალობელი

„ღ მ ე რ თ ი უ ფ ა ლ ი",

1 ხმა შემოკლებული კილო მრავალ ხმაზე, **3** და **1** ხმაზე. ფასი 35 კ. პროვინციელთათვის შეღავათით. **ადრესი:** 1) ტფილ. გოლოვინის პრ., 10, სამუსიკ. მაღაზია **კ. შუმანისა,** 2) ტფ. მუხრანის ქ. 25, ლიტოგრაფია **ვ. კილაძისა.** (25 ■360—2)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., ხადამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—51)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვათა სნეულებებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. ...ბეთის ქ., № ...

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ძაჯაია იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—1 5)

ექიმი კ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.141

ექიმი ი. ი. ბ ე რ ი შ ვ ი ლ ი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვახსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ., № 94,** საფოსტო **განყოფი.** პირდ. (25—1178—71)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდების მომავალ ხიდის მახლობლად დაიკრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ოთხკუთხ **საფენი 30 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, **სახლი № 6,** სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 324)

დოკტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების. სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის. კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგ. დოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1 82. (თ. 1037 200)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარული ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ახპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

მღებრიშვილი—შინაგ., ბავშვ. —ორშაბ. ოთხშ., პარას., კვირაობით 4—5 ს.

გრეიცი—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.

არგუტინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. 2½ ს.

მონსე. ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ პარასკ. 2—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 საათ.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—1 ს.

რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

ვენელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.

ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

ბესსერი შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 10—1 ს.

გურგენიძე შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ 606-ს

საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3 4 საათ., წიდაწინვე ჩაწერით. (თ—1365.2)

ვაგზლის პერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდ. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ს. ა. ბოთოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების ჯასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით;

წამლოგა „606"-

(წლ—1018—300).

ექიმი ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

ექიმი კ ბ ი ლ ი ს ა ა ბ ა ს თ უ მ ა ნ ში ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—14)

ექიმი აბასთუმანში ე. ი. მ ი ნ ა ს ი ა ნ ც ი იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (წ. 1347.198)

ექიმი ქალი კბილისა ნინო რ ც ხ ი ლ ა ძ ე 20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში** 9—3 საათამდე.

ექიმი ვ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი მიიღებს თვალის ავადმყოფ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სიანიშვილისა.

ექიმი ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა. (Წ)

ახალი ამბავი

ტ ფ ი ლ ი ს ი

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემის შესახებ. წარსულ შაბათს, სარედაქციო კომისისიაში გაუსინჯავთ მხატ. გრინევსკის მიერ წარმოდგენილი ესკიზები იმ სურათებისა, რომელნიც შეეხებიან „ოთარაანთ ქვრივს", „გლახის ნაამბობს" და „გლახა ჭრიაშვილს". სარედაქციო კომისიას დასწრებიან აგრედვე მოწვეულნი პირნი: ილია წინამძღვრიშვილი და ლევან ჯანდიერი. ესკიზები მოუწონებიათ. ამასთანავე სარედაქციო კომისიას დაუდგენია წიგნის გამოცემა რაც შეიძლება დაჩქარდეს და ამიტომ ეთხოვოს იმ პირთა, რომელთაც დავალებული აქვთ ბიოგრაფიის და კრიტიკული განხილვის დაწერა, შემდეგ თავისი ნაშრომი წარმოუდგინონ სარედ. კომისიას არა უგვიანეს ამა წლის 1 სექტემბრისა. გარდა ამისა კომისიას გადაუწყვეტია სხვა და სხვა ტეხნიკურ კითხვების გასარჩევად მაგალ., შრიფტისა, დაბეჭდისა და სხ., მოიწვიოს ცნობილი მცოდნე პირნი; გაიგზავნოს გამომცემლობის მდივანი ი. გედევანიშვილი ყვარელში და საგურამოში ფოტოგრაფიულ სურათის გადასაღებად: ყვარელში—ილიას სახლი, ეზო და სოფ. ყვარელი., საგურამოში—ილიას სახლი და წიწამურის გზაზე ძკვლელობის ადგილისა.

✦ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების დიდუბის უფასო ბიბლიოთეკა - სამკითხველოს გამგედ ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ტფილისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელი ქ. ლუკა ქუთათელაძის ასული.

✦ კახეთის რკინის გზის შესახებ გაზეთ „კავკაზის" ცნობით დანაძდვილებით შემდეგი გამოირკვა: სამი დღის წინად დასრულდა წვრილმანების გაძოკვლევა; საალ შენებლო გამგეობისა და ბ. ინსპექტორის ძალობათა წყალობით გეგმა ისე გადაკეთდა, რომ სადგური იორის აძენეა ძდ. იორის, როგორც მარცხენა ისე მარჯვენა ნაპირზე მეიძლება. ამ საკითხს, საბოლოვო გადასაწყვეტად, ინსპექტორი გადასცემს ადგილობრივ მთავრობასა და საზოგადო დაწესებულებათ. მას შესაფერი მოლაპარაკება უკვე ჰქონია გუბერნატორთან და თაკად-აზნაურობის წარმომადგენელთან.

✦ გუშინ-წინ, 1 ივლისს, **ტფილისის ფრანგთა კოლონიამ** თავისი ნაციონალური დღესასწაული გადაიხადა.

✦ ქალაქის გამგეობის უმთავრეს ბუხგალტერიაში ყველა საქალაქო დაწესებულებათაგან შემოვიდა დაუძუშავებელი მასალები, რომელიც საჭიროა 1913 წლის ხარჯაღრიცხვის შესადგენად. შემუშავებელი მასალები საფუძვლად დაედება 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვასრომელიც შესაძნევად გამსხვავდება წინა წლების ხარჯთ-აღრიცხვისაგან.

✦ ქალაქის გამგეობამ განკარგულება მიიღო, საბჭოს მიერ გადაწყვეტილ დახმარებებს ნუ მისცემს იმ საქველმოქმედო დაწესებულებათ, რომელთაც გამგეობაში არ წარუდგენიათ წარსული წლის მოქმედების ანგარიშები.

✦ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში, შემოდგომაზე **ხილეულობის მეორე გამოფენა—ბაზრობა გაიმართება.** ამავე დროისათვის დანიშნულია მებაღეების კრება. ამიტომ საორგანიზაციო კომიტეტმა მიწად-მოქმედების დეპარტამენტის წინაშე ძუამდგომლობა აღძრა, გამოფენის ძოსაწყობად 1500 მანეთი გადასდოს.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ნ. ფ. რუდოლფი აკაურ შევარდენთა საზოგადოების საპატიო წევრად აირჩიეს.

✦ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, როგორც ვიცით განზრახული ჰქონდა ქუთაისის დასიდან ქ. ჩხეიძე და ბ. ქორიძე მოეწვია საგაისოდ სეზონში. ამის გამო გამგეობის წევრები მოსალაპარაკებლად კიდეც გაემგზავრნენ ქუთაისს, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა და მათ უარი განუცხადებიათ. ეხლა როგორც გავიგეთ, რეჟისორად ბ. წუწუნავას იწვევენ. რადგანაც ბ. წუწუნავას პირობა შეკრული ჰქონდა სახალხო სახლთან არსებულ ქართულ სექციასთან, ამიტომ გამგეობამ სექციას მიმართა თხოვნით, რომ ნება დართონ წუწუნავას, სექციასაც თანხმობა გამოუცხადებია.

არჩევნების გამო. სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში მოსამსახურე ამომრჩეველ პირთა სიების წარდგენის ვადა დანიშნულია 10 ივლისს, რასაც გამგეობა კიდევ აცნობებს დაწესებულებს. საერთო სიების შედგენის დამთავრება განზრახულია 20 ივლისისათვის იმ მიზნით, რომ სიები დასათვალიერებლად გაოფენილ იქმნას 8 აგვისტოსათვის.

კვირას, 1 ივლისს, ახალი საკალდებულო წესების მოხდენით დილიდან ყველა საკეტრო მაღაზიები, სანოვაგის დუქნები და ფურნეთორნეებიც დაკეტილი იყო, რადგანაც მცხოვრებთაგან ბევრმა არ იცოდა არაფერი ახალ დადგენილებათა შესახებ, ბევრი მათგანი მშიერი დარჩა. უმეტესად ცუდ მდგომარეობაში ხელმოკლე მცხოვრებლები იყვნენ.

„რუსკოე სლოვო“-ს № 140 დაბეჭდილ გარეშე აზნაურის წერილის გამო 28 ივნისს, „რუსკოე სლოვოს“ რედაქციაში აზნაურთა ერთმა ნაწილმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაგზავნა. ვუცხადებთ გარეშე აზნაურს ჩვენ ღრმა აღშფოთებას და პროტესტს ტყუილ და შეურაცხმყოფელ წერილის გამო, რომელიც დაისტამბა თქვენი პატივცემული გაზეთის № 140, და რომელიც ეხება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მიერ არჩეულს წინამძღოლს დიდად პატივცემულ თავ. ი. მ. სუმბათაშვილს.

თავ. ი. მ. სუმბათაშვილმა, 29 ივნისს, „რუსსკოე სლოვოს“ რედაქტორს დეპეშით შეეკითხა, შეურაცხმყოფელ წერილის დასტამბის გამო ვინ უნდა ჩასთვალოს პასუხის მგებლად, ის—რედაქტორი, თუ „გარეშე აზნაური“.

ქალაქის სასაკლაოს გამგე ბეითალმა ლანგმა ქალაქის გამგეობას შემდეგი ოფიციალური მოხსენება წარუდგინა: ახალი წესების ძალით საყასბოები 7 საათზე იკეტება; ზაფხულში საქონლის კვლას სასაკლაოზე მხოლოდ ოთხ საათზე იწყებენ და ამის გამო ყასბები ხორცის ქალაქში მოტანას 9 საათამდე ვერ ასწრებენ. ისე რომ პოლიციას მუდამ შეუძლია ოქმი შეუყენოს სავალდებულო წესების დარღვევისათვის. ბ. ლანგი სთხოვს გამგეობას გამოარკვიოს ყასბების მდგომარეობა.

ტფილისის საბოტანიკო ბაღმა ბაკურიანის საალპო განყოფილებისათვის კავკასიონის ქედის საუცხოვო მცენარეების მდიდარი კოლლექცია მიიღო.

ტფილისის ქალაქის ქიმიურ ლაბორატორიაში გამოსაკვლევად მოიტანეს ილარიონ მუჯირის თორნის და კირაკოზ ბაქსიანის მაღაზიიდან წაღებული ფქვილი. ფქვილი სრულიად უვარგისი გამოდგა და დამნაშავეთ ოქმი შეუდგინეს.

1 ივლისს, პოლიციამ 9 უპასპორტო შეიპყრა.

საზოგადოებანი და კრებები.

ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ, შაბათს, 30 ივნისს, მომხდარ კრებაზე გადასწყვიტა: რადგანაც ლილოს ამხანაგობას დღეიდან საქმის წარმოება უინსტრუქტოროდ შეუძლია, ამ ზაფხულს ორის თვით გაანთავისუფლოს მუშაობისაგან ა. კახელიძე ორი თვით პირველ მკათათვიდან დაწყებული. ამ ხნის განმავლობაში, თანახმად მისივე სურვილისა, ბ. კახელიძე გაემგზავრება ყარაძილისში გახსნილ მესაქონლობის კურსებზე ლექციების მოსასმენლად; კურსების დამთავრების შემდეგ კი, ორ კვირას დაჰყოფს სავარჯიშოდ ყველ—ერბოს ქარხნებში, სადაც ეს საქმე საუცხოოდ არის დაყენებული.

სასწავლებლებში

ავლაბრის ქალთა პროგიმნაზიის სამზრუნველო კომიტეტმა გადასწყვიტა: ოთხი წლის ვადით დაიქირაოს თამბაქოს ამხანაგობის „მირის“ შენობა, კახეთის მოედანზე, ქარხნის გვერდით. მიმდინარე წლის პირველ სექტემბრიდან პროგიმნაზიის პირველ დაწყებითი, ორი მოსამზადებელი და პირველი კლასი გაიხსნება, თხოვნებს დირექტორი ი. ს. ღულაძე იღებს.

რკინის გზებზე

ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი გენერალ-მაიორი ბარონ როზენი პეტერბურგიდან ტფილისს დაბრუნდა.

ბათუმი

ბათუმიდან 1 იანვრიდან 1 ივნისამდე გაუტანიათ შავი ქვა: ავსტრო-ჰუნგრეთში 70,520 ფუთი, ბელგიაში 995,603 ფუთი ველიკო-ბრიტანიაში 914,888 ფუთი, გერმანიაში 345,546 ფუთი, ჰოლლანდიაში 1,202,380 ფუთი, ამერიკის შეერთებულ შტატებში 604,148 ფუთი და საფრანგეთში 645,119 ფუთი. ფოთიდან ამავე ხნის განმავლობაში გასულა: ავსტრო ჰუნგრეთში—963,906 ფუთი, ბელგიაში—1,928,799 ფუთი, ველიკო-ბრიტანიაში 2,951,704 ფუთი ჰოლანდიაში 4,641,221 ფუთი, რუსეთში 404,250 ფუთი და საფრანგეთში — 202,209 ფუთი. სულ 3,022,912 მანეთის და 23 კაპ.

„ბათ. გაზ.“

გურია

გაზეთების გამგზავნელმა ბიურომ ქართლის „რედაქტორს“ ბ. ეკალაძეს სთხოვა აგენტებისათვის გასაგზავნად 350 ცალი გაზეთისა გამოუგზავნოს. „ქართლის“ პირველი ნომერი სულ გაყიდულა.

ქალაქის გამგეობის და დამფასებელ კომისიის შეერთებულ კრებაზე გადასწყვიტეს, ქალაქი გაჰყონ ოთხ დასაფასებელ უბნად; პირველი სამი უბანი იქნება ქალაქის დასახლებული ადგილი, ხოლო მეოთხე უბანი—საქალაქო ფარგალში მოქცეული ყველა მამულები.

ამ მოკლე ხანში ქალაქის გამგეობა მოიწვევს კათოლიკეთა, მართლ-მადიდებელთა, სომეხ გრიგორიანთა სამღვდელოებას, ეკლესიების მზრუნველებს და ზოგიერთ საზოგადო მოღვაწეებს სათათბიროდ, თუ როგორ მოაწყონ და გააუმჯობესონ სასაფლაოები, რომელნიც ამ ჟამად არა სასურველ მდგომარეობაში არიან. „ქართლი“.

შესდგა ახალგაზრდა ინტელიგენტთა ჯგუფი, რომელსაც განზრახვა აქვს სისტემატიურად მართოს პატარ-პატარა **ექსკურსიები** გორის მაზრაში. ჯერ-ჯერობით განზრახულია გაიმართოს ექსკურსიები: უფლისციხეში, ატენის ხეობაში, ჯავის ხეობაში და სხვ. პირველი ექსკურსია გაიმართება კვირას, 8 ივლისს, უფლისციხეში. ექსკურსიაში მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ როგორც კაცებს, ისე ქალებს. პიროობების გაგება შეიძლება სანდრო გძელიშვილთან და სტუდენტებთან კოტე კორძაიასთან და შ. გოგებაშვილთან.

სიღნაღი

რამდენიმე დღის წინად სატუსაღოდან გაიქცა მიხეილ ბაქაშვილი გუშინწინ ბაქაშვილი თავის ნებითვე დაბრუნდა სატუსაღოში.

სოფლად

სოფ. ბარისახო (თიანეთის მაზრა), 25 ივნისს, საბლაღოჩინო კრებაზე მოწვეულ ფშავ-ხევსურეთის საშლიდელოებამ ჰანაშვილი გადაიხადა იაკობ გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად. აქვე გამოითქვა სურვილი განსვენებულის სახელობის ფონდის სასარგებლოდ გაიღონ თავისი წვლილი.

თიანეთის მაზრა. სოფ. თიანეთსა და ჯებოთაში საქონელს ჭირი გაუჩნდა. სოფ. თიანეთში, თეთრხევში, თეგრაანთთონეთში, ძებნეიაურში, ჯებოთაში, ლენოდანში, ალოთში, ბოქონში, მაკრალოვანში, ნაკრიანთკარში და ბეგურიანკარში სეტყვამ და წიაღვარმა ძლიერ გაფუჭა ნათესი და ბალახები.

სოფ. ლამისყანიში, სადაც ამ ოცდა ათი წლის წინად გაკეთებული წყარო გაფუჭდა და სუფლილი იძულებული იყვნენ, უსუფთაო წყალი ესვათ, ეხლა ადგილობრივ მემამულეებს თ. ალექსანდრე ივანეს ძე და კნ. მარიამ ვახტანგის ასულს ჯამბაკურ ორბელიანებს გამოჰყავთ მილებით წყალი ტოკანაურის წყაროდან; ეს წყარო ლამისყანიდან ვერს ნახევარ მანძილზე იმყოფება; წყლის გამოყვანა წინასწარის ვარაუდით 2000 მ. დაჯდება. წყლის გამოყვანას ტეხნიკურად უხელმძღვანელებს ინჟენერი ჭურდიანი. წყალი გამოიყვანება როგორც მემამულეების, აგრედვე სოფ. ლამისყანის ყველა მცხოვრებთა სახმარებლად.

სოფ პრასიანი. (სიღნაღის მაზრა) გიგა მაისაშვილი თავის გაყოფის დროს წაეჩხუბა გიგა ბეჟაშვილს. ჩხუბის დროს მაისაშვილმა ჯოხი დაარტყა სახეში ბეჟაშვილს. უკანასკნელი გაცხარდა და თავი გაუჩეხა მაისაშვილს; რომლის მორჩენა ძნელია.

სოფ. მელაანში ჯიმითში, ქერემში და ფხოველში (სიღნაღის მაზრა) მოსული სეტყვამ გააფუჭა პურის ყანები 1015 დესეტინის მანძილზე სულ 19850 მანეთის ზარალია, 180 დესეტინა ვენახი—ზარალი 18000 მანეთამდეა; დაზარალდა 781 ოჯახობა.

შეცდომის გასწორება.

კვირის ნომერში მოთავსებული შენიშვნის „საადგილ-მამულო ბანკის შენობა“ ერთი ნაწილი ახალი ამბის განყოფილებაშია შეჭრილი, რითაც, სამწუხაროდ, სრულიად დამახინჯებულია წერილის აზრი.

ქართულ სასოფლო სამეურნ. საზოგადოებაში.

ძლიერ მუყაითობას იჩენს ეს საზოგადოება. ერთი წლის განმავლობაში გაკეთებულმა საქმემ თვალნათლად დაგვანახა თუ რა დიდებული მომავალი აქვს ამ საზოგადოებას. ეხლა დაარსდა მესაქონლობის სექცია, რომელშიაც შედიან ბეითლები და სპეციალისტები: შ. დედაბრიშვილი, გ. მრევლიშვილი, ბ. ახმეტელაშვილი, გ. ყავრიშვილი (რომელიც ძლიერ გამოცდილი და დახელოვნებულია ამ საქმეში), კ. ამირეჯიბი, გრ. ცხადაძე, ს. ყაზახაშვილი, ე. იოსელიანი, რ. გედევანიშვილი, ვ. რცხილაძე, ა. კახელიძე, ე. კარბელაშვილი და გ. საყვარელიძე. სექციას მიზნად აქვს თავი მოუყაროს სასოფლო მეურნეობას ამ დარგის ყველა მცოდნე პირს. უკვე მოხდარ სექციის პირველ კრებაზე, თანახმად ბ. დედაბრიშვილის მიერ წარმოდგენილ მოხსენებისა, გადასწყდა: გაიგზავნოს ოთხი პირისაგან შემდგარი კომისია, რომელიც დათვალიერებს კაიშაურის ველს, გამოიკვლევს ადგილობრივ პირობების გამოსაკვლევად, რადგანაც ეზრად აქვთ მომავალში აქ მერძე-მეყველეობის სადგური დაარსონ. სადგური უნდა იკვლევდეს ყველა საკითხს მერძე-მეყველეობის შესახებ, რომელიც კი ჩვენ ალბიის ზონას შეეხება. ხოლო მანამდე კი, თუ კომისიამ გადასწყვიტა შეიძლება ამ ზაფხულიდანვე გაიგზავნოს ინსტრუქტორი სეპარატორით, რათა მათ ადგილობრივ მცხოვრებლებს დაეხმაროს, რომელნიც გაწსაკუთრებით მერძე-მეყველეობას მისდევენ. ისინი შეასწავლიან მცხოვრებლებს კარაქის და ერბოს ახალი იარაღით გაკეთებასა, ძველი მაპაპური წესით გაკეთების მაგიერ. წასვლა წამოსვლისათვის კომისიას გამგეობის გადაწყვეტილებისამებრ ხარჯად მიეცემა 35 მანეთი. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დასაწყისს აბაზედ ლაპარაკი მეტია. მხოლოდ ვუსურვებთ, ჩვენს საზოგადოების გამარჯვებას.

ზოგიერთა ცნობანი გამოცდილებიდან

„სახალხო გაზეთი“-ს მე-610 №-ში მოთავსებული იყო წერილი ქართულ სამეურნეო საზოგადოების ზემო ქართლში მოღვაწეობისა შესახებ. წერილი ეხება ქართლის რაიონის აგრონომის ბ. კარბელაშვილის მიერ გამართულ საცდელ მინდვრებს. არ შევუდგები თვით წერილის განხილვას, რადგან იგი საკმაოდ არის განმარტებული, მხოლოდ ყურადღებას მივაქცევ იმ სტრიქონებს, სადაც არის ნათქვამი: „სათესი მანქანით მუშაობას კი საზოგადოდ სიმინდის მწკრივად თესავს ცოტა არ იყოს უნდოთ ტკიდებიან, გლეხები ელიან რა ნაყოფს გამოიღებსო“. ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ მეტად არ მიმაჩნია დაინტერესებულ საზოგადოებას გავუზიარო ზოგიერთა ცნობანი ჩემის გამოცდილებიდან.

აგერ თითქმის 13 წელიწადია რაც მეურნეობას ვეწევი სოფ. საქაშეთში და ამ ხნის განმავლობაში ყველაზედ ნაკლებს ყურადღებას სიმინდის თესვას ვაქცევდი, რადგან შემოსავალი გასავალს ვერა ჰფარავდა. 1911 წლის იანვარის რიცხვებში თათბირი გვქონდა ჩემს მეზობელ მეურნეთა ერთად და გადავსწყვიტეთ ხელით სათესი მანქანა გამოგვეწერა, მე უკვე ეს განზრახვა სასრულეში მოვიყვანე, მაგრამ ჩვენი შეხედულება არ გამართლდა-სრულებით ვერ იმუშავა. იძულებული ვიყავი ცხენის შესაბმელი მანქანა გამომეწერა, მანქანა გვიან მომივიდა, როდესაც თესვას შევუდექი 5 მაისი იყო, სხვებან კი სიმინდი უკვე გასაოთხნად იყო მომზადებული. მიწა ხუთი დღისა იყო მოხნული ანეულად, ხოლო სიმინდის დათესვამდის ნაცვლად გუთნისა ასეთ შებელ მანქანით ავავოშე და დავთესე სიმინდი ნასიმინდარში. ეს კი სრულებით არ არის მიღებული. სიმინდი დავთესე მწკრივად. ვიდეზი იყო 15—16 გოჯამდის, ხოლო წრეში სიმინდი სიმინდზე 3—5 გოჯამდის. 5 დღის მიწის დათესვას ერთი ცხენით და ოცი კაცით მოუნდოდა. დღე ნახევარს. თესლი მოუნდა სიმინდი და დოზიერ 5 ჩანახი 5×25 გირვანქა=125 გირ.

შარშან ჩვეულებრივი მოსავალი იყო, მხოლოდ 5 დდიურში 40 კოდი=200 ფუთი მომივიდა, 5 კოდეთ ნაკლები წინაწელიწადზე. მკითხველმა შეიძლება იფიქროს, ახალის წესით თესვა და მოვლა ნაკლებს იძლევა, ბაგრაზან აქვე მოვიყვან მიზეზს, თუ რად მოვიდა ნაკლები დ ან რა ჯდება მოყვანა ძველის წესით და ახალის წესით, პირველი მიზეზი ნაკლებ მოსავლისა იყო გვიან დათესვა, ხოლო მეორე—მოურწყავად დათესვა, რასაც სრულებით ვერ იტანს ჩვენებური მიწა.

რა დაჯდა 5 დდის მიწა ძველის წესით?

1) 5 დღიურის ანიულად ხენა 17 მ. 50 კ., 2) ამაეე ბერეს მოხენა და ფარცხვა გაბაფხულზე 20—მან., 3) სიმინდის თესლი 1 ჩანახი 4 მ. 20 კ., 4) ლობიოს—თესლი 3 ჩანახი 3 მან. 30 კ., 5) ღალა 5 დღისა 15 მ., 6) თესვა ორი კაცით 1 მ. 50 კ., 7) აგთოხნა ორი პირადი 80 მუშა 60 მ., 8) მორწყვა 4 მუშა 3 მ., 9) სიმინდის მოჭრა 6 მუშა 4 მ. 50 კ., 10) ლობიოს მოგლეჯა 1 მ. 50 კ.

ხარჯი მოუნდა სულ 130 მ. 50 კ.

მოსავალი მოვიდა:

1) ლობიო 7 ჩანახი 5 მან., 2) სიმინდი 45 კოდი 135 მან.

მთელი შემოსავალი 140 მან.

ახალის წესით:

1) 5 დღის ანეული 17 მან. 50 კაპ. 2) გაზაფხულის აოშვა და დაფარცხვა 8 მან., 3) სიმინდის თესლი 4½ ჩანახი 1 მან. 80 კაპ., 4) ლობიო ½ ჩანახი 50 კაპ., 5) ღალა 15 მან., 6) თესვა 3 კაცით და 2 ცხენით 4 მან., 7) წრეებში თოხნა 10 მუშა 7 მ. 50 კაპ., 8) 3 ცხენით და 6 კაცით ველების თოხნა 7 მან. 50 კაპ., 9) მორწყვა 2 მუშა 1 მან. 50 კაპ., 10) სიმინდის მოჭრა 4 მუშა 3 მან., 11) ლობიოს მოგლეჯა 1 მან.

ხარჯი მოუნდა სულ 67 მ. 30 კ.

მოსავალი მოვიდა:

1) ლობიო 7 ჩანახი 5 მან., 2) სიმინდი 40 კოდი 120 მან.

მთელი შემოსავალი 125 მან.

ზემოდ მოყვანილ ციფრებიდგან ჩვენ დავინახავთ, რომ ძველის წესით დათესილ თესლზე ერთ ჩანახზე მოდის 3 კოდი, ხოლო ახალის წესით 1 ჩანახზე—8 კოდი. მუშა ხელიც ნაკლები სჭირდება ახალი წესით დამუშავებას. მე ეს ცნობანი შემოყავს საგრწყავ მინდვრების გამოცდიდგან—ქვემო ქართლის ჭირიზებიდგან, სადაც მუშა სიმინდის თოხნის დროს ღირს 75 კაპ. ხოლო ზემო ქართლში კი. 1 მან. 10 კ.

ამ გამოცდილებამ ენერგია გაგვიღვიძა. წელს კი სიმინდი მაქვს ნათესი 9 დღისა და კარგი მოსავლის იმედიც არის. ამისათვის მაქვს შემეტნილი 1) სათესი მანქანა, 2) ასაოშებელი, 3) საცეხვავი და 4) ნაქურჩიანათ საროში მანქანა. იმედია ამ ჩემს მოყვანილ ცნობებს დაინტერესებულნი მიაქცევენ ყურადღებას. თუ ვინმეს სურს თვალი თვალით ნახოს, ვთხოვთ მობრძანდნენ სოფ. საქაშეთში ძმათა დიასამიძების მამულში, და დარწმუნდნენ ზემოდ ნაფქვამში, თვითონაც მიჰბაძონ ამ მაგალითს, წუ დაჭარკვენ ძვირფასს დროს და ხელი შეუწყონ გაუმჯობესებულ იარაღების შეძენას.

კონს. დიასამიძე.

ერთი დიდი საკითხის შესახებ

(წერილი რედ. მიმართ)

ერთი დიდი საკითხის შესახებ, იმედია, ჩემ პაწაწინა წერილსაც მისცემენ ადგილს თქვენ პატივცემულ გაზეთში.

I. უნივერსიტეტი. *)

ყოველი სტუდენტი ორთა შუა რიცხვით **ოთახის ქირად** ხარჯავს **14 მ. 40 კ.** არის ასეთი შემთხვევა:

8 მანეთიდან—14 მანეთამდე აძლევს თვიურად ოთახში . . 21.
15 მანეთიდან 20-დე . 14.
21 „ 28-დე . 3.

ბ) **სმა-ჭამაზე** [2]) — **12 მ. 7 კ.**

1) 7 მანეთიდან 14 მანეთამდე 31.
(7 მ.—3; 8—4; 9 მ.—4; 10 მ.—6: 11—3; 12 მ.—5; 13 მ.—5; 14 მ.—1).
2) 15 მანეთიდან 25-დე . . 8
ორთა შუა რიცხვით 12 მ. 7 კ.

II სამხ. საექ. აკადემია [3])

ა) ორთა შუა რიცხვით ყოველი მათაგანი ხარჯავს **ოთახის ქირად** 15 მ. 95 კაპ:

1) 9 მანეთიდან 17-დე თვიურად იხდის . . . . . 10.
(9 მ.—2; 12 მ.—3; 13 მ.—1; 15 მ.—1; 16 მ.—1; 17—2).
2) 18 მანეთიდან 25-დე . 6.
(18 მ.—2; 20 მ.—2; 22 მ.—1; 25 მ.—1).

ბ) **სმა-ჭამა.** [4]) თითო ხარჯავს—11 მან. 90 კ.

1) 6 მანეთიდან 15-დე . . 12.
(6 მ.—1; 7 მ.—1; 8 მ.—3; 9 მ.—1; 10 მ.—3; 13 მ.—1; 15 მ.—2).
2) 16 მანეთიდან 25-დე . . 3.
(16 მ.—1; 18 მ.—1; 25 მ.—1).

ორთა შუა რიცხვით თითოზე მოდის თვეში: 11 მ. 90 კ.

III პოლიტეხნიკუმი: [5])

ა) **ბინაზე** თვიურად: თითოს ეხარჯება . . . . 13 მ. 50 კ.

1) 7 მანეთიდან 15-დე . . 14.
(7 მ.—1; 8 მ.—2; 9 მ.—1; 10 მ.—5; 11 მ.—1; 12 მ. 1; 14 მ.—1; 15 მ.—2);
2) 16 მანეთიდან 30-დე . . 7.
(16 მ.—2; 17 მ.—2; 18 მ.—1; 20 მ.—30).

ბ) სმა-ჭამა: თითოზე მოდის საშუალ.: 11 მ. 40 კ.

1) 6 მანეთიდან 12-დე . . 17.
(6 მ.—2; 7 მ.—1; 8 მ.—5; 9 მ.—2; 10 მ.—5; 12 მ.—2).
2) 14 მანეთიდან 40-დე . . 5.
(14 მან. 1; 15 მ.—2; 40 მ. 1).

IV ფსიხონევრ. [6])

ა) **ბინაზე** თვიურად თითოს ეხარჯება: 9 მ. 17 კ.

1) 5 მან-დან 10 მან-დე—15.
(5—1; 6 მ.—2; 7 მ.—4; 8 მ.—2; 9 მ.—4; 10 მ.—2).
2) 11 მ.—50 კ.—15 დე—4.
(11—50 კ.—2; 14 მ—1; 15—1).

ბ) სმა ჭამა [7]): თითო ხარჯავს—9 მ. 82 კ.

1) 5 მანეთ.—10 მ-დე 15.
(5 მ—1; 6 მ.—2; 7 მ.—1; 8 მ.—2; 9 მ. 3; 10 მ.—6.)
2) 12 მან-დან—20 მ.—4.
(12 მ.—2; 15 მ.—1; 20 მ—1).

V სხვა უმაღლ. სასწავ. ვაჟების [8]):

ა) ბინაზე თვიურად თითოს ეხარჯება: 15 მ. 75 კ.

1) 8 მანეთ.—16 მანეთ. იხდის 7.
(8 მ.—1; 11 მ.—1; 12 მ.—1; 14 მ.—1; 15 მ.—2; 16 მ.—1.
2) 17 მან-დან—28 მ. დე იხდის 4.
(17 მ. 1; 18 მ.—1; 19 მ.—1; 28 მ.—1).

ბ) **სმა ჭამა** [9]): თითო ხარჯავს: 12 მ. 50 კ.

1) 3 მანეთიდან 11 მანეთამდე ხარჯავს—6.
(3 მ.—1; 6 მ.—1; 7 მ.—1; 10 მ.—2; 11 მ.—1).
2) 13 მანეთ. 25 მ-დე ხარჯავს—5.
(13 მ.—1; 15 მ.—1; 18 მ.—1; 20 მ.—1; 25 მ. 1).

6 ქალები [10]):

ა) **ბინაზე** თვიურად თითოს ეხარჯება: 13 მ. 40 კ.

1) 8—50 კაპ.—13 მან-დე—8.
(8—50—1; 10 მ. 50 კ. -1; 11 მ.—1; 12—50 კ.—2; 13 მ.—3.)
2) 14 მან-დან—17 მან-დე—5.
(14 მ.—1; 15 მ.—1; 17 მ.—1).

ბ) **სმა ჭამა** [11]): თითო ხარჯავს: 12 მ. 64 კაპ.

1) 3 მ.—50 კ-დან—12-მდე ხარჯავს—8.
(3 მ. 50 კ. -1; 8 მ.—1; 10 მ.—2; 11 მან.—2; 12 მ.—2)
2) 14 მ-დან 20 მ.-დე—6.
(14 მ.—1; 15 მ.—1; 16 მ.—2; 18 მ.—1; 20 მ.—1).

საერთოდ კი პეტერბურგში მოსწავლე ქართველი ახალგაზდობა ორთაშუა რიცხვით ხარჯავს:

1) ბინაზე 13 მან. 69 კაპ.
2) სმა-ჭამაზე 11 მან. 72 კაპ.

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 634.
1) არ აღნიშნავს—11.
2) არ უპასუხნია—10
3) არ იძლევა ცნობას—9.
4) ცნობას არ იძლევა—6.
5) არ გვაძლევს ცნობას—1.
6) არ აღნიშნავს—3.
7) არ აღნიშნავს—3.
8) არ იძლევა ცნობას—4.
9) ცნობას არ იძლევა—4.
10) ცნობას არ იძლევა—4.
11) „ „ „ 3.

ანკეტა პეტერბურგში მოსწავლე ქართველთა მდგომარეობის გამოსარკვევად.

(შემდეგი *)

ახლა გადავიდეთ ხარჯებზე და ვნახოთ ვინ რამდენს რაში ხარჯავს.

I. უნივერსიტეტი. *)

ყოველი სტუდენტი ორთა შუა რიცხვით **ოთახის ქირად** ხარჯავს **14 მ. 40 კ.** არის ასეთი შემთხვევა:

8 მანეთიდან—14 მანეთამდე აძლევს თვიურად ოთახში . . 21.
15 მანეთიდან 20-დე . 14.
21 „ 28-დე . 3.

ბ) **სმა-ჭამაზე** [2]) — **12 მ. 7 კ.**

1) 7 მანეთიდან 14 მანეთამდე 31.
(7 მ.—3; 8—4; 9 მ.—4; 10 მ.—6: 11—3; 12 მ.—5; 13 მ.—5; 14 მ.—1).
2) 15 მანეთიდან 25-დე . . 8
ორთა შუა რიცხვით 12 მ. 7 კ.

II სამხ. საექ. აკადემია [3])

ა) ორთა შუა რიცხვით ყოველი მათაგანი ხარჯავს **ოთახის ქირად** 15 მ. 95 კაპ:

1) 9 მანეთიდან 17-დე თვიურად იხდის . . . . . 10.
(9 მ.—2; 12 მ.—3; 13 მ.—1; 15 მ.—1; 16 მ.—1; 17—2).
2) 18 მანეთიდან 25-დე . 6.
(18 მ.—2; 20 მ.—2; 22 მ.—1; 25 მ.—1).

ბ) **სმა-ჭამა.** [4]) თითო ხარჯავს—11 მან. 90 კ.

1) 6 მანეთიდან 15-დე . . 12.
(6 მ.—1; 7 მ.—1; 8 მ.—3; 9 მ.—1; 10 მ.—3; 13 მ.—1; 15 მ.—2).
2) 16 მანეთიდან 25-დე . . 3.

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 634.
1) არ აღნიშნავს—11.
2) არ უპასუხნია—10
3) არ იძლევა ცნობას—9.
4) ცნობას არ იძლევა—6.
5) არ გვაძლევს ცნობას—1.

როგორც მკითხველი დაინახავდა, ყველაზე ნაკლებს იღებენ ფსიხონევროდები. (27 მ. 23 კ.), ყველაზე მეტს კი სამხედრო საექიმო აკადემიაში მოსწავლენი (45 მ. 90 კ.); შემდეგ უნივერსანტები (40 მ. 5 კაპ.) და სხვა.

რაც შეეხება ხარჯებს, რასაკვირველია მეტს ის ხარჯავს, ვისაც მეტი მოსდის. ამ შემთხვევაშიც ფსიხონევროდები ყველაზე ნაკლებს ხარჯავენ: ბინაში 9 მან. და 17 კაპ.; სასმელ-საჭმელი და სხვა ხარჯებიც 9 მან. 82 კაპ. ოთახის ქირას ყველაზე მეტს ს. საექ. აკად. იხდიან. უნდა შევნიშნო აგრედვე, რომ ვიბორგის მხარეზე, ვასილევის კუნძულზე ცხოვრება (ბინა) უფრო ძვირია, ვიდრე სატყეო და ფსიხონევროლოგიურ ინსტიტუტებთან.

შემწეობა სხვა და სხვა საზოგადოებაში ბევრს უთხოვნია. სულ 65. არ მიუმართავთ 41. და დანარჩენ **ორმოცს** არ უპასუხნია.

მხოლოდ 20 კაცს ჰქონია სამუშაო, საიდანაც შეუძლიათ შემოსავალი გაიდიდონ. დანარჩენი 126 როგორც ეტყობა. არ საჭიროებენ სამუშაოს, მაგრამ აქ ეჭვი გვებადება, იმიტომ ჩვენი სტუდენტობის უმრავლესობა დაავალიანებულია. ამასგარდა ეს მოვლენა ერთი იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ სამუშაოს შოვნა არც ისე ადვილია და მეორედ კი საზაფხულოდ ბევრი შოულობს სამუშაოს, თუმცა ზოგიერთს პეტერბურგში იქიდან არაფერი ჩამოჰყვებათ ხოლმე.

საზაფხულო სამუშაო ჰქონია 48-ს აქედან გაკვეთილები—37-ს.

დანარჩენი: ზოგნი რედაქციებში მუშაობდა, ზოგი რკინის გზაზე; ზოგს ჰრაქტიკა ჰქონია და სხვა. ამათგან პეტერბურგში ჩამოჰყოლიათ:

11 კაცს. . . 10 მან. დან 50 მ-დე
11 „ 50 „ 100 „
11 „ 100 „ 180 „
19 „ სრულიად არაფერი.

I

საზოგადოებების ვალი მართებია:
57 კაცს და უდრის
საეროოდ. . . . . 6218 მან.
ორთა შუა რიცხ. თითოს მართებს. . . 109 მან. 5 კ.

ყველაზე უფრო დავალიანებულნი არიან უნივერსიტეტის სტუდენტები.

26 კაცს მართებს . . 2486 მან.
თითოზე მოდის, . . 95 მან. 50 კ.

შემდეგ პოლიტეხნიკოსები:

7 კაცს მართებს . . 1940 მან.
თითოს . . . . . 277¹/₇ მან.

შემდეგ ყველას თანაბრად:

სამ. საექიმ. აკად. 6
კაცს ჰმართებს, . 338 მან.
თითოს . . . . . 56¹/₃ მან.
ფსიხ. ნევ. 6 კაცს მართებს . . . . . 475 მან.
თითოს. . . . . 79¹/₆ მან.
დანარჩენ სავაჟო უმაღ. სას. მოსწ. (6 კაცს) 563 მ.
თითოს. . . . . 93⁵/₆ მან.
ქალებს: 6 მართებს. . . 418 მან.
თითოს. . . . . 69¹/₂ მან.

რაც შეეხება ვალის სიდიდეს თითო სტუდენტის მიხედვით ყველაზე მეტი ჰმართებიათ პოლიტეხნიკოსებს:

ერთს ჰმართებს 277¹/₇ მან.

უნივერსანტებში:

ერთს . . . . 95¹/₂ მან.

ფსიხ. ნევ.:

ერთს . . . . 79¹/₆ მან.

ქალებში:

ერთს . . . . 69¹/₂ მან.

სამ. საექ. აკადემიაში:

ერთს . . . . 56¹/₃ მან.

და დანარჩენ უმაღ. სასწ. (ვაჟების).

ერთს . . . . 93⁵/₆ მან.

ეს რაც შეეხება საზოგადოების ვალებს.

II კერძო პირებს:

კერძო პირების ვალი ჰმართებია 76 კაცს.

ვალის რაოდენობა უდრის 9360 მ.

ორთა შუა რიცხვით თითოს— 123 მან. 15 კ.

ამ შემთხვევაშიც ყველაზე უფრო დავალიანებულნი არიან უნივერსანტები.

22 კაცს ჰმართებს 4037 მან.
თითოს . . 183¹/₂ მან.

სამხ. საექ. აკადემიაში, პოლიტეხნიკუმში, ფსიხ. ნევრ. დავალიანებულთა თანასწორი რიცხვი:

სამ. საექ. აკად. ჰმართებს
13 კაცს . . . . 2380 მ.
თითოს . . . 183 „ 30 კ.
პოლიტეხნიკუმში 13 კაცს 834 „
თითოს . . . 64 „ 16 „
ფსიხ. ნევრ. 13 კაცს . 1585 „
თითოს . . 122 „
დანარჩენ ყველა ვაჟების უმაღლ. სასწავლებლებში ჰმართებთ 6
კაცს. . . . . 3982 „
თითოს . . . 663 „ 66 „
ქალებში 9 ჰმართებია . 1269 „
თითოს . . . 140 „ 88 „

III. სათვისტომოსი:

21 კაცს ჰმართებს . . **791** „
უნივერსანტებს, 11 კაცს ჰმართებს . . . . 288 „
თითოს . . . 26 „ 18 „
პოლიტეხნიკებს, 2 კაცს

ქართული ენის მეცნიერული შესწავლის დამართებით თუ რამ არის უდროვო, ეგ გახლავსთ უშედეგო და უძირო პუბლიცისტური მუსაიფი, მეტადრე ისეთ დროს, როცა შესაფერი თეორიული სწავლის ელემენტების მცოდნეც ერთი ან ორი ძლივსღა მოიპოვება ქართველ საზოგადოებაში, თუმცა თვით სწავლის ფუძე უკვე დამყარებულია. არავითარი მტრული გამოლაშქრება იმდენს ვერ ავნებს ქართულ ენას, როდენ დილეტანტური კვლევა-ძიება და სიბნელით მოცულ აუარებელ მასალაში ბრმა მოსიყვარულეთა ფოთინი. დილეტანტების მსჯელობა ფრთას ისხამს და მათი მავნებელი მოქმედება ორკეცდება, თუ მათ მხარს უჭერს პრესა. დილეტანტური მავნე გავლენა სამარცხვინო ძლევით იმოსება, როცა საზოგადოება, როდესაც სამეცნიერო დროშის მექოდება, მის მფარველ ტალღათ აზვავებულ მომდინარეობას ფართო და მყარ კალაპოტს უჩენს. აუცილებელი უვიცობა მით უფრო სახიფათოა, რადენ მეცნიერული ფერუმარულით კეკლუცობას ჩემულობს, კიდევ საკითხი, თუ რა სჯობს, რომ ასეთი უვიცობა მეგობრობას ჩემულობდეს თუ მტრობას. ჩემდა თავად მე ასეთი მტერი მირჩევნია. იგი ლამის, რასაკვირველია, სასოწარმკვეთელ შეუგნებლობით, შეურაცხყოფილი მუდამ დევნილი მეცნიერების დამარცხებას, მარცხდება არა მეცნიერება, იმას თავისი მიაქვს, იგი თავისას გაიტანს. მარცხდება ერი, დედა ენის შესწავლით და კანონიერი განვითარებით დაინტერესებული ერი, სადაც ნამდვილი მეცნიერული სხივის შემოტანა უიმისოდაც ძნელია. ასეთი მძიმე წამი (რუსები იტყვიან „მომენტი“) მოითხოვს, თუ ერის განათლებულ ნაწილში ჩარჩენილა კიდევ ნამცეცი მართლ-მსჯელობა და მეცნიერული სიფაქიზე-გამოქვირვალება, წამოყენებული იქმნას თანამედროვე ჭურჭლით შეიარაღებული ორგანო, რომელმაც მკაფიოდ თვალსაჩინოდ ზერე-ქანდაკებული ხაზი გაუსვას, უტყუვრად განსაზღვროს დილეტანტური ფოჩიხობა და მეცნიერული შრომა; აქაც რომ საოქმელია, შუა უზის დიდი ხელვარიო. პირველი ბრწყინვალე ნიშანი ასეთი საკეთილდღეო დაწესებულების, ასეთი საზოგადოების უნდა ყოფილიყო ის, რომ ყოველი საქმე ძიებდოთ კერძო მცოდნეთათვის, სპეციალისტებისთვის. არავითარი საზოგადოებრივი პატივცემულობა და საზოგადოების წინაშე შეუბღალველი დამსახურება ვერ გასწევს გინდ „უპატივცემულო“ და დაუმსახურებელ სპეციალისტების ბაგიერობას, ამიტომაც „მიკვირს“ ვსთქვა, ცოტა იქნება, მაშფოთებს და დიახ სამწუხარო მოვლენად მიმაჩნია, რომ ახალ ჩასახულ, მაგრამ უკვე კარგად ცნობილ ქართველთა სამეცნიერო საზოგადოებას უკუუგდია ბ-ნი იუსტინე ბულაძის სამართლიანი აზრი, დავძენ, ერთად ერთი ჭეშმარიტი გზა განსაკუთრებითი კერძო მცოდნეთ კომისია შემდგარიყო ქართული ენის საგანძურისთვის მასალების შესაკრებლად და მერმისში ქართული ენის ღირსეულების სიმაღლეზე დასაყენებელი ლექსიკონის შესამუშავებლად[1]). თუ გზეთების გადმონაცემი მართალია, ასეთი რთული საქმე საზოგადოების გამგეობისთვის მიუნდვიათ, იმ გამგეობისთვის სადაც არც ერთი ლინგვისტი არ ბძანდება. ასეთი საქციელი შესაწყნარებელი იქნებოდა (მართალი მოგახსენოთ, ამასაც ვეჭვობ) ოცი ან ოცდა ათი წლის წინეთ. ამ რიგად უმუშავიათ „ვეფხის ტყაოსნის“ გამოსაცემლად, ვისრამიანის დასაბეჭდათ და სხვათა ეჭვს გარეშეა, რომ ვისაც საუკუნის მეოთხედი ნაწილი ძილში გაუტარებია ან მისთვის მოუნმლებელ ახალ-ახალ აზრებთან დაუწყნარებელ ვითომდა ბრძოლაში მზე დალევია, დღესაც იგი გზა მოეწონება, ჩვენი აზრი კი, თუ ვისმე საყურადღებოდ მიაჩნია ჩვენი აზრი, სხვა ფეროს. ვისაც ქართული სპეციალურად არ უსწავლია („შეუსწავლია“-ს არ ვიხმარ, ჯერჯეობით გადაჭარბებულ მოთხოვნილებად მიიჩნევა), ვისაც აღმოსავლეთურ ენათ თანამედროვე სკოლის უთავადესი პრინციპები არ შეუთვისებია, მეტადრე ვისაც ეგეთი ვხალვ ფილოლოგიური სკოლის სუნიც არ ჰკარია და ფერიც არ აცხია, მათ ვერ მიენდობა და არც უნდა მიენდოს ამავითარი მეცნიერული კვლევა ქართული ენის შესახებ, არც—რაც ძნელთაგან უძნელესია—მასალის შეკრების გამგეობა. მაგრამ იქნება ზოგიერთ წრეში ეგ მძიმე საქმე სამეცნიერო დარგადაც არ ირაცხება. ვინც აგრე მსჯელობს, მის წინ ბოდიშს ვიხდი, რომ ამ ორიოდე სიტყვით შემიწუხებია.

ნ. მარრი.

[1]) ანი.ის ნაგრეკვები. ივნ. 29

„ვინმე კალმოსანს“.

(წერილი რედაქციის მიმართ)

„თემის“ 77 ნომერში „ვინმე კალმოსანმა“ ღირს მყრ თავისი ყურადღებისა.

პატივი მცა... ისე, როგორც იციან ზოგიერთა ჟურნალისტებმა.

პასუხი დამიგვიანდა. ვყოყმანობდი—საჭირო იყო თუ არა პასუხის გაცემა, მაგრამ რადგანაც „თემის“ რედაქტორად მ. გ. დიასამიძეა, დიასამიძე კი ჩემი უანგარო მეგობარია—ამიტომ მოვალედა ვსთვლი ორიოდე სიტყვა გამოვსთქვა ჩემს დასაცველად.

„ვინმე კალმოსანმა“ წერილში ბევრი ყალბი მასალა მოათავსა, ამასთანავე ხშირადა ხმარობს იმისთანა ფანდებს, რომელნიც ჟურნალისტს არ შეშვენის.

შეიძლება უნებლიედ მოუვიდა, რადგანაც იქნება კარგად არ იცნობს ფაქტიურ მხარეს.

რედაქტორმა მ. გ. დიასამიძემ კი კარგად იცის და ამიტომ მოვალე იყო გაეზიარებინა თავისი ცოდნა ვინმე კალმოსნისათვის“ ან წერილისათვის ეძღვნა შენიშვნა მით უმეტესად, რომ ლიტერატურული ეთიკის რაინდია.

ამიტომ პასუხთან ერთად, საყვედურს ვუძღვნი მ. გ. დიასამიძეს.

პირველი „ვინმე კალმოსანი“ ძალიან კარგი აზრისა ყოფილა ჩემს აღზდაზედ, ჭკუაზედ და ზრდილობაზედ, მაგრამ...

მაინც არა სჯერა რომ, მე ჰირდაპირ გამეცხადებინოს ფ-დ ბაგრატიონისათვის, რომ მე დიდი ხანია მსურდა იმისი იდეიურად დამარცხება და გამოცვლა.

ამაზედ პასუხის მიცემა თავის დამცირება იქნებოდა.

თუ არა სჯერა, ხომ ვერ დავიფიცავ!

ეხლოლოდ საყურადღებო ის არის, რომ მას „ვინმე კალმოსანს“ ვერც კი წარმოუდგენია, რომ შეიძლება თავისი აზრის პირდაპირ გამოთქმა.

მეორე. მე მიღალატნია ძველი რწმენისათვის და საითღაც გადავხრილვარ. დამიკარგავს ძველი გზა და მეგობრები.

ბრალდება საშინელია. დასამტკიცებელი საბუთებიც სერიოზული უნდა იყოს. მით უმეტესად, რომ რწმენის დაკარგვა უცბად არ მომხდარა. „ლოდიკური შედეგი ყოფილა მეფლი ჩემი მოქმედებისა უკანასკნელ ორ წელს თავად-აზნაურთა კრებებზე“. ბ-ნ „ვინმე კალმოსანს“ ორი საბუთი მოჰყავს.

ჩემი სიტყვა მარშანდელ კრებაზე სადავად-აზნაურო გიმნაზიის შესახებ, რაშიაც ადელვა განსვენებული ცხვედაძემ და დაიმსახურა ტაში მ. მაჩაბლისა. მეორე კი ის, რომ ხშირად ჩემ ორჭოფ სიტყვებს ტაშს უკრავდნენ მ-ლ მაჩაბელი და ღენერლები.

ამასა ჰქვიან მსჯელობა!

დაამტკიცეთ, რომ ჩემი სიტყვა გიმნაზიის შესახებ ეწინააღმდეგება დემოკრატიულ აზრს და ჩემს რწმენას.

გამოაქვეყნეთ შინაარსი იმ ორჭოფი სიტყვებისა, რომ ნათელი იყოს ყველასათვის ჩემი მრწამსის ღალატი.

ხებას არ მოგცემთ ცარიელი ფრაზები ისროლოთ. საბუთის მაგივრად მისწვდით ცხვედაძეს ხსოვნას და ფარადა ხმარობთ.

ეს საძაგლობაა.

მე დიდ პატივსა ვსცემ განსვენებულ ცხვედაძის ხსოვნას, მაგრამ ღრმად დარწმუნებული ვარ გიმნაზიის შესახებ ჩემი აზრის სიმართლეში.

გავიმეორებ შარშანდელ კრებაზე თქმულ სიტყვის დედა აზრს.

დღევანდელი ნივთიერი მდგომარეობა სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობისა ყოვლად უნუგეშოა. ვალი იმოდენა აძევს, რომ მარტო სარგებელით რამდენიმე წელიწადში ახალი გიმნაზია აშენდება. წლითი წლობით ვალი მატულობს და ეს საკითხი მაჯლაჯუნასავით სულს უხუთავს საზოგადოებას. ამასთანავე მთელი ზრუნვა საშუალო სწავლა განათლებისა აქვს მიქცეული სახალხო განათლებაზედ ძალიან ცოტასა ფიქრობენ ერთს ახმარებენ წელიწადში 100,000 მ. მეტს—მეორეს კი 1,500—2,000 მანეთს. მე მიუთითე კრებას, რომ საჭიროა ნაწილი იმ ფულისა, რომელიც იხარჯება საშუალო სწავლა-განათლებაზე გადაიდოს სახალხო სკოლების გასახსნელად.

ამ აზრის შედეგი ყოფილა, რომ „ყველას, ვისაც კი რწმენა ჰქონდა ბ. შ. მესხიშვილის დემოკრატობისა, უნებლიედ გული სწყდებოდა“ ბ-ნო „ვინმე კალმოსანო“ თუ თქვენ და თქვენ თანამოაზრეთ გული დაგწყვეტათ და თქვენი „დემოკრატიზმი“ აღშფოთდა ზევით მოყვანილი ჩემი აზრის გამო, ღმერთმა გზა დაგილოცოთ თქვენცა და თქვენ „დემოკრატობასაც“.

ყველაზედ საკოდავი საბუთი ის არის, რომ მისაყვედურებს „ვინმე კალმოსანი“, ღენერლები ტაშს გიკრავდნენო.

არ ვიცი ვინ მიკრავდა ტაშს—შეიძლება ღენერლებიც იყვნენ.

განა ამას მნიშვნელობა აქვს?

დაამტკიცეთ, რომ როდისმე სიტყვით ან საქმით მეღალატოს ჩემის რწმენისათვის.

გამოაშკარავეთ ორჭოფი სიტყვების შინარსი. ქედს მოვიხრი.

მანამდინ კი... ეს მხოლოდ იაფი დემაგოგიული ფანდია არა საკადრისი ადამიანისა.

(დასასრული იქნება)

შ. მესხიშვილი.

„შევარდენთა“ ვარჯიშობა

„შევარდენთა“ საგიმნასტო ორგანიზაციები ბევრგან არსებობს. სხვათა შორის ტფილისშიაც არის ასეთი ორგანიზაცია. ამ ჟამად შევარდნებს ქ. პრაგაში ყველა ორგანიზაციათა წარმომადგენლებს ვარჯიშობა აქვთ. როგორც „რუსკოე სლოვო“-ს ატყობინებენ პრაგიდან, ვარჯიშობაში სულ 23000 „შევარდენი“ იღებს მონაწილეობას, რვა ორკესტრითა და მრავალი დროშით, რომელიც სხვა და სხვა ეროვნების წარმომადგენელთ ეკუთვნის. დღესასწაულში მონაწილეობას იღებენ ინგლისისა, საფრანგეთისა, ამერიკისა, ბელგიისა, რუსეთისა და სხვა ქვეყნების „შევარდენთა“ ორგანიზაციები.

მთელი ქუჩები, რომელზედაც „შევარდენებს“ უნდა გაევლოთ, ხალხით იყო დაფენილი; არა თუ ქუჩები, სახლის აივნები, ფანჯრები და სახურავები ცოცხალი მასით იყო დაკუნწლული.

ლიტანიის დასასრულს მოხდა უსიამოვნება, რომელიც გერმანელთა აგრეწოდებულმა „ბურშუბმა“ გამოიწვია. ფერადი ტანისამოსით გამოწყობილი 150 გერმანელი ყვირილით შეერია „შევარდენთა „დეფილეს და სურდა დემონსტრაციის მოხდენა. თუმცა ჩეხური გაზეთები თავიდანვე აფრთხილებდნენ საზოგადოებას, თავი შეიკავეთ ძალადობელი შემთხვევის დროსო, მაგრამ იმდენად ადელვა „ბურშების“ უდიერობამ სადღესასწაულო გუნებაზე მყოფი საზოგადოება, რომ მან ერთი შეტევით მთელ-მოთელა იგინი და ზოგიერთს კიდევაც სცემა.

რატუშის მოედანზე სლავიანების „შევარდენთა“ კავშირის სახელით დოქტორმა შეინერმა ქება მიუძღვნა „შევარდენობის“ აკვანს — ოქროს პრაგას და ქალაქის წარმომადგენელს გროშს მარმარილოს და ვით ბრინჯაოს ემბლემა მიართვა.

ამ დროს აღმართეს „შევარდენთა“ დროშები და მრავალრიცხოვანმა ხალხმა ერთხმად იგრიალა: „ნაზდარ!“, რის შემდეგ ზეიმიც დასრულდა.

ვარჯიშობის დროს „შევარდენმა“ ქალებმა აჯობეს ვაჟებს. საღამოს ქალაქის სხვადასხვა ადგილს გაიმართა სახალხო საღამოები, სეირნობა და სხვა გასართობი. პრაგის გამოფენის საიუბილეო მოედანზე წარმოადგინეს სლოვაკური ქორწინება სიმღერებით, ცეკვით და სხვა ჩვეულებით.

დღესასწაულის უკანასკნელ დღეს მოხდა ვარჯიშობა სერბთა „შევარდნებისა“, რომელთაც ნაციონალურ მუსიკის ხმაზე მშვენიერად რად აასრულეს რამდენიმე ნომერი. დიდის ზეიმით მიიღეს ფრანგების გიმნაზისტები, რომელნიც დღესასწაულის დროს სრულიად „გასლოვენდნენ“ და თავისუფლად მღეროდნენ ჩეხურ ჰიმნს: „ჰეი, სლოვანე“. ყურადღებას იქცევდნენ აგრედვე რუსის „შევარდნებიც“.

„შევარდენთა ჩამოფრენის“ უკანასკნელი აკორდი და მისი აპოთეოზი იყო მარაფონის დღესასწაული ათინში მილტიადის სპარსებზე გამარჯვების სახსოვრად, რომელიც პრაგის ნაციონალურ თეატრის რეჟისორმა კვაცილმა მოაწყო და რომელშიც მონაწილეობას იღებდა 1300 პირი. საუცხოო სანახაობას წარმოადგენდნენ სხვა და სხვა ფერის ტანისამოსით გამოწყობილი ანტიური ჯგუფები წარმოდგენის მონაწილეთა.

ხალხი დიდად ნასიამოვნები დაიშალა.

ლენის ამბები

ბოდაიბოდან მუშათა დაკველი ვექილები დაბეჭდეთ ატყობინებენ, „დადგა გადამწყვეტი მომენტი. დღეს ლენის ამხანაგობამ თავისი აზრი უნდა წარმოადგინოს სენატ. მანუხინისა და მუშათა წარმომადგენლების მონაწილეობით შემუშავებულ. ხელშეკრულობის შესახებ. გუშინ ამხანაგობის დირექტორმა გინცბურგმა აცნობა მანუხინს, რომ გამგეობა თანახმაა უკანვე მიიღოს გაფიცვის მონაწილე ყველა მუშა და ხელშეკრულობის ვადად დასდოს 1913 წ. სექტემბერი. გამგეობის და მუშების შერეულ თათბირის დროს გამოირკვა, რომ ლენის ამხანაგობის მიერ განზრახულ ხელფასის მომატების რაოდენობა 45,000 მან. არ აღემატება. მკოდავებს ემატებათ 3 კ. შავმუშებს ერთი შაური, ხოლო დანარჩენთ 2—3 კაპეიკამდე; უმეტესობისათვის კი მომატება 12%-მდეა.

ხელშეკრულობაში შეტანილია მუშების მოთხოვნათა თითქმის ყველა მუხლი, მათ შორის 6 საათის მუშაობა განსაკუთრებულ პირობებში მუშაობის დროს, რაც იმას მოწმობს, რომ გაფიცვის წინახანებში წამოყენებული მოთხოვნანი სამართლიანი და კანონიერი ყოფილა.

მუშათა წარმომადგენლებმა სენატანუხინს სთხოვეს, რათა მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მუშათა კულტურულ საჭიროების დაკმაყოფილებას, შუამდგომლობდნენ სახალხო სახლის აშენებისა და სკოლების გაფართოების შესახებ, აგრედვე აღნიშნეს, რომ საჭიროა არაყის გაყიდვის რაოდენობა შემცირდეს. მანუხინმა აღუთქვა მხთ ყოველგვარი დახმარება.

გუშინ მაღაროებიდან გააკლეს დახოცილთა ქვრივ-ობლები, რომელთაც ვექილები შემწეობას ურიგებდნენ. კატასტროფის ადგილს გადაიხადეს პანაშვიდი, სადაც მუშები ძეგლის აგებას აპირობენ.

ლენის ამხანაგობის ადმინისტრაციის განახლება, როგორც ეტყობა, მალე მოხდება. წავიდა ბელოზეროვი და მასთან ერთად რამდენიმე უფროსი მოხელეც.

ამას წინად კირენის ციხიდან გაანთავისუფლეს მუშების რამდენიმე წარმომადგენელი; დანარჩენი სამი ბოდაიბოს ციხეში გადმოიყვანეს სანამ პალატის პროკურორი გამოარკვევდეს მათ განთავისუფლების საკითხს.

სხვა და სხვა ამბავი

შავრაზმელები და ებრაელი ბანკოვი. სოფ. კომისაროვკის შავრაზმელებმა ისარგებლეს გუბერნატორის შეკითხვით და სასოფლო ყრილობას ძალით დაადგენინეს ებრაელ ბანკოვის სოფლიდან გაძევება. გაძევების საბუთად შავრაზმელებმა ის მოსაზრება იხმარეს თურმე, რომ რუსეთ-იაპონიის ომის დროს, როცა ბანკოვი ამერიკაში ცხოვრობდა, იგი დიდ ეიხარულს აცხადებდა რუსეთის დამარცხების გამოო.

საერობო გამგეობის წევრი—გაზეთის მტერი.

კურსკის საგუბერნიო ერობის გამგეობის წევრმა კონდრაშევმა, რომელიც თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს, განკარგულება მოახდინა, რათა ყველა იმ პირმა, რომელიც გამგეობის სახელზე იღებს პროგრესიულ გაზეთებს, დაუყონებლივ გადმოცვალოს მისამართი; მანვე აკრძალა გამგეობის სადგომში გაზეთების გაყიდვა.

სახელმწიფო და ბანქოს თამაში.

საფრანგეთის სენატორმა ამპერმა შინაგან სამინისტროში შეკითხვა შეიტანა საგარაკო ადგილებში ბანქოს თამაშის შესახებ. მისი სიტყვით თუმცა თამაში ნებადართულია მხოლოდ 142 კაზინოში, მაგრამ ნამდვილად კი იგი 4000-ზე მეტ ადგილს სწარმოებს. უკანასკნელ წელს თუმცა სახელმწიფომ 150% გადასახადი დააწესა მაზე სათამაშო სახლების შემოსავალმა მაინც თვალსაჩინოდ იმატა. ეგიპეტის სახლს (პარიზის ახლო) შემოსვლია 10 მილიონი ფრანკი; ნიცისას 8 მილ.; ტრუვილისა და ექს-ლო-ბენისას სამ-სამი მილიონი და სხვ. ინტერ-პელატორის სიტყვით სათამაშო სახლთა პატრონები მეტ წილად უვიცი პირები არიან—ყოფილი მეეტლები, მზარეულები და სხვ. სენატორი წინადადებას იძლევა, რათა სახელმწიფომ მონოპოლია შემოიღოს ხსენებულ სათამაშო სახლებზე და მათი შემოსავალი სახელმწიფოისა და კომუნათა ხაზინებს გაუნაწილოს.

მოზღერილი ამბები

მანგლისი. 25 ივნისს სოფ. დიდენაგეთში ტფილისს მაზრის მეორე საბლალოჩინო ოლქის სამღვდელო-

ებას კრება ჰქონდა. სამღვდელოებამ ამოირჩია მოძღვართა-მოძღვრად მღ. მ. ი. ბარნაბოვი. სამღვდელოებამ განიხილა კიდევ სხვა და სხვა შინაური საქმეები. თავმჯდომარეობდა ბლაღ. აღმასრულებელი მღ. მ. სევასტიანოვი კრებაზედ მღ. კ—ძემ სამღვდელოებას მოაგონა იშვიათი მამულიშვილის, დიდებულ მასწავლებელის და საზოგადო მოღვაწის იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის გარდაცვალება. სამღვდელოებამ მის ხსოვნას ფეხზედ ადგომით პატივი სცა. ადგილობრივ ეკკლესიაში პანაშვიდი იქმნა გადახდილი მთელის სამღვდელოების და მედავითნეთა თანადასწრებით.

რადგანც სამღვდელოებამ თავის დროზედ გვირგვინით ვერ შეამკო დაუვიწყარ ქართველ ერის მასწავლებლის გვამი, მის მაგიერ ყველამ თვისი წვლილი შესწირა იაკობ გოგებაშვილის სახელობაზედ დაარსებულ ფონდს, რომელსაც ამასთანავე ვუდგენ რედაქციას გარდასაცემად დანიშნულებისამებრ. აი სია შემომწირველთა: თითო მანეთი დრ. ბლ. მ. სევასტიანოვმა, მღვდ. კ. კავკასიძემ, მღ. მ. ყინჩაველმა, მღ. მ. კახაიამ. ათათი შაური მღ. ბარნაბოვმა, მღ. ვ. ზაქარიაშვილმა, მღ. ი. მონასელიძემ. მღ. პ. ხუროშვილმა 20 კ. ძედავითნეები: ს. ბარნოვმა 20 კ., გვარამაძემ 20 კ., თეთრაძემ 25 კ., ახსიევმა 15 კ., მეედლოვმა 30 კ. ფირალოვმა 20 კ. კერძო პირებმა: დ. ლონდარიძემ 25 კ., ი. ნადირაძემ 25 კ., ნ. გულვერდოვმა ერთი მანეთი ი. გულვერდოვმა 50 კ. ზაქარია გოზალოვმა 50 კაპ. ფულის გასაგზავნი 15 კ. სიმონ მამულიშვილმა. სულ 9 მ. და ათი შაური.

მღ. კ. კავკასიძე.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. საააგენტო)

საზღვარ-გარეთ

2 ივლისი.

მონარქისტების აჯანყება.

ლისაბონი. ლისაბონიდან 45 ვერსის მანძილზე ლისაბონიის უმაღლეს წრეების ახალგაზდა მონარქისტების ჯგუფი აღმოჩნდარა. ჯგუფის საწინააღმდეგოდ გაიგზავნა ჯარი. რამდენიმე კაცი უკვე დაუპატიმრებიათ. ჯარს მონარქისტებისათვის წაურთმევია იარაღი და დიდძალი სურსათი.

სელიზემბრში, ლისაბონს ახლო, 29 ივნისს ამბოხება მომხდარა. დაჭრილი ბევრია.

მადრიდი. კაპატინი კონსეიროშვიდასი მონარქისტით ვალენკაში ყოფილა. ესპანიის მთავრობას დაუპატიმრებია 40 მონარქისტი, რომელნიც საზღვარზე გადასულან.

ბარცელონა. გრანოსლევში კარლისტები რესპუბლიკელთა კრებაზე შეევარდნენ და ხალხს სროლა დაუწყეს. ერთი კაცი მოუკლავთ, სამი დაუკრიათ.

კარლისტებმა ბარცელონაში პორტუგალიის რესპუბლიკის საწინააღმდეგო მანიფესტაცია გამართეს.

ოსმალეთის ვითარება.

სტამბოლი. სენატორმა ფუად-ფაშამ სენატში წინადადება შეიტანა ისეთი კანონი შემოვიღოთ, რომ არც მოხელეებს, სხვათა შორის სენატორებსაც, აძლევდეს ნებას პოლიტიკაში ჩარევისასაო.

ალბანელების მოძრაობა.

პრიზრენი. სამი დღის ბრძოლის შემდეგ ალბანელებმა ტყვედ ჩაიგდეს 120 ჯარისკაცი ზარბაზნებითურთ და სოფელი კრუმაც ააწიოკეს. დაჭრილ-დახოცილთა რიცხვი 560. ალბანელებს დიდძალი სურსათის ჩავარდნიათ ხელთა.

უსკიუბი. რადგან რადიფებს ვერ ენდობოდნენ, რადიფები სახლში დაგზავნეს და მაგივრად სხვა ჯარი ჩააყენეს.

არიშტინა. ქალაქთან სამი დღეა გაცხარებული ბრძოლაა. კულინის ხეობა ალბანელების ხელთა. ალბანელები მუდირლიკეში გარს შემოტყმიან ბატალიონსა.

ბრინჯის გაძვირება.

სეული. ბრინჯის გატანის ბაჟი მოსპეს. ამის გამო იაპონიასა და მანჯურიაში დიდძალი ბრინჯი გაიქვთ, რის გამოც კორეიაში იგი გაძვირდა. გაძვირება უკმაყოფილებას იწვევს ხალხში.

საფრანგეთის ვითარება.

პარიზი. საყოველთაო საარჩევნო უფლების დამცველთა კომიტეტმა გამოაქვეყნა კლემანსოს შედგენილი მოწოდება. იგი ამბობს, ხალხს არა ჰსურს პროპორციანალური წარმომადგენლობა, იგი მხოლოდ რევოლუციონერებისა და რეაქციონერებისათვის იქნება ხელსაყრელიო.

სპარსეთის ამბავი

თავრიზი. პოდპოლკოვნიკის რადბენკოს რაზმი მშვიდობიანად ჩასულა დუზდუზანს.

აგარიდან იუწყებიან, რუსის რაზმის მოსვლის გამო შაჰსევნები აქეთ-იქით გაფანტულანო.

არდებილიდან შემდეგს იუწყებიან შაჰსევნები თან და თან თამამდებიან. ამას წინად რუსის რაზმისათვის სროლაც კი აუტეხნიათ. შაჰსევნებს გაუძარცვნიათ სოფელი კულიარი, რუსეთის ბანაკიდან ოცვერსის მანძილზე მდებარე. საზოგადოდ, შაჰსევნები მაგრად არიან.

რ უ ს ე თ ი.

რუსეთის ქვეშევრდომთა ამოხოცვა.

პეტერბურგი. 8 ივნისს, კაშგარეთის სოფელ ჩირში, ჩინეთის წარმომადგენლებმა რევიზორმა სუნმა და სხვებმა რუსეთის ქვეშევრდომს საიდ-ეფენდის ალყა შემოარტყეს. ამის მიზეზი ყოფილა საიდ-ეფენდის არ მისვლა რევიზორთან, რადგან, როგორც რუსეთის ქვეშევდომს, მოვალედ არ უცვნია თავისი თავი გამოცხადებულიყო რევიზორთან. სახლში, პატრონის გარდა, ყოფილა რუსეთის 100 ქვეშევრდომი, ეტყობა ისინიც მაჰმადიანები. საიდ-ეფენდიმ სამჯერ სთხოვა მოალყეებს, დაიშალენითო, მაგრამ ვერაფერს გახდა. ეფენდი იძულებული იყო იარაღი ეხმარა და ორი კაციც მოუკლავს. მაშინ სუნს უბრძანებია, ესროლეთო და ცეცხლი წაუკიდეთ სახლსაო. მართლაც ასე მოქცეულან; ნამდვილი წყაროებიდან გაუგიათ, ას კაცამდე დაღუპულა სახლშიო. რუსეთის ელჩს დაევალა ჩინეთის მთავრობას სერიოზულად მოსთხოვოს პასუხი და განმარტება მომხდარ ამბისა.

ხოცვა-ულეტა

მოგილიოვი. ძოგილიოვის მაზრაში ბოროტ-გამზრახველებს მოუკლავთ მღვდელი ნოვსკი, მეორე სოფელში კი მეწისქვილე. გუბერნატორის მიერ გაგზავნილმა რაზმმა საძიებელ-თაგანი მოჰკლა, ერთი დამორჩილდა.

ლენის ამხანაგობაში

ბოდაიბო. ლენის ოქროს მადნების ამხანაგობამ გამოაკრა განცხადება და მოუწოდებს ყველა მუშებს, გაფიცულებსაც: მოდით და ახალი ხელშეკრულება დავდოთ 1913 წლის 1 სექტემბრამდეო. ამავე დროს ორთავე მხარემ უნდა გააუქმოს ძველი ხელშეკრულება და გამოუცხადონ, რომ სადაო არა აქვთ-რა, ვინც ხუთი დღის განმავლობაში მუშაობას არ დაადგება, იმას ჟიგალოვამდე უფასოდ მიიყვანენ და გზის ფულად 10 მანეთსაც მისცემენ. წამსვლელ მუშებს უცოლშვილოებს დღეში—57 კაპ. მიეცემათ; ოჯახობიანს ორჯერ მეტი. პირველი გემი ბოდაიბოდან 2 ივლისს გავა.

წერილი რედ. მიმართ

ბ-მა გრიგოლ დიასამიძემ არ შეიწყნარა ჩემი მოთხოვნილებანი: არც ბოდიში მოიხადა, არც თავისი სიტყვები განმარტა, ვერც სამედიატორო სასამართლოს წინაშე გაბედა წარდგომა...

ამიტომ მე ჩემს თავს ნებას ვაძლევ მის საქციელს ის სახელი ვუწოდო, რომელიც მან თვითონ დაიმსახურა... რა სახელია ეს სახელი?... დეე, ეს თვით ბ-ნ დიასამიძეს სინიდისმა განსაჯოს... მე კი აღარას ვიტყვი: წაქცეულის ჩაქოლვა არც ისეთი მოსაწონი საქმეა...

ამით ჩვენი პოლემიკა დაბოლოვებულად ძიმაჩნია. მე ჩემის მხრით ყოველი პატიოსანი საშუალება მივეცი ბ-ნ დიასამიძეს ჩემთან საბრძოლველად და თავის სიტყვების დასამტკიცებლად, ხოლო თუ მან გაჩუმება არჩია და **ამით თავისი სიმტყუვნე თვითონვე აღიარა,** ეს, დიაღაც, ჩემი ბრალი არ გახლავსთ...

იმედი მაქვს, საზოგადოება ამ ჩემის განცხადებით სრულიად დაკმაყოფილდება და ბ-ნ დიასამიძის საქციელსაც შესაფერ მსჯავრს დასდებს. ხოლო თუ ვისთვისმე საქმე კიდე ცოტაოდნადაც გამოურკვეველი რჩება, მე მზათა ვარ ყველგან და ყოველთვის პასუხი ვაგო დაინტერესებულ საზოგადოების წევრთა წინაშე.

—— გ. ჟორდანია.

უმორჩილესად ვსთხოვ პატივცემულ „სახალხო გაზეთის“ რედაქციას დამისტამბოს შემდეგი წერილი.

უღრმესს მადლობას მოვახსენებ ქ-ნ ანასტასია რაფაელის ასულს კახიძისას, რომელმაც ქ. შ. წ. კ. გ. ს. თელავის განყოფილების სკოლას შემოსწირა:

1) გლობუსი, 2) დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზე, 3) მეთოდიკა დაწყებითი ანგარიშისა გოლდენბერგისა, 4) რუსული პირველი საკითხი წიგნი ტოლსტოისა, 5) „ნაკადულის“ პედაგოგიური ფურცელი 4 წიგნი 1905 წ. 6) იგივე 2 წიგნი 1906 წ. 7) „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 1908 წ. 8) იგივე 22 წიგნი 1909 წ. 9) „ნაკადული“ მოზრდილთათვის 12 წიგნი 1908 წ. 10) იგივე 11 წიგნი 1909 წ. 11) იგავ-არაკნი რაფაელ ერისთავისა 4 ცალი.

თელავის ქ. შ. წ. კ. გ. ს. განყოფილების სკოლის მასწავლებელი **ნინო გოგნაშვილისა.**

ჩვენი ფოსტა.

ქუთაისი. ერთს მკითხველთაგანს. თქვენს ხელს კარგად ეცნობს რედაქცია. შეცდომაში ვერ შეგვიყვანთ. კვლავ გიმეორებთ, რომ თქვენი პირადი საქმეებისთვის ამდენი შეწუხება რედაქციისა არ ვარგა.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსაღეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: **ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, დამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-V კლ. ვაგ, ან მე-VI, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: **ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით დამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: **სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: **საავგარაკო** მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საავგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ერევნისაკენ: **სამგზ.** და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109|104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: **ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-V ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: **ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 9 ს. 40 წ.

მცხეთიდან: **საავგარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საავგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: **სახ.** № 9|10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: **საფ.** № 72|73, დილის 7 ს. 26 ს. **ერევნიდან საქონ.** და **სახ.** № 80|81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედეანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართუბე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9	**ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12	**ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათა არღვევენ, ცუდს ხაშელ-სასმელს აკეთებენ და ჭყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკანის მოედანზე.

გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

საფოსტო № 2. რომელიც ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 26 აპრილს, ხუთშაბათს ღამე 2 ს. გემი ვ. კ. „კსენია“.

1 ირგვლივ მოსიარულე, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, **2 ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. ზ ი რ დ ა პ ი რ ი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემავლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტ ფ ი ლ ი ს ში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანავოსნო ამხანაგობა
კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.

ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ.

ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრახადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობთ საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.

კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის 5. 45 წ.

ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.

ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკატები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზი მერკური**“ ტელ. 682.

განცხადებანი

გამოცდილ **მასწავლებელ ქალ-ვაჟთა ჯგუფი**, რომლის სათავეში დგანან **უმაღლეს საპედაგოგიო სწავლა დასრულებულნი, ამზადებს** ქალ-ვაჟთ **ყველა საშუალო** და **დაბალ სასწავლებლისათვის:** სავაჟო და საქალო გიმნაზიებისათვის; კადეტთა კორპუსისათვის; ქართული გიმნაზიისა, რეალური, საკომერციო, სამხედრო, ქალთა საეპარქიო, სატეხნიკო, მიწის-მზომელთა, საავრონომიო, საფერშლო, სასულიერო და საქალაქო სასწავლებელთათვის; სამასწავლებლო და საბებიო ინსტიტუტისა, სასულიერო და სამასწავლებლო სემინარიისათვის, **სამწფიფის მოწმობის მისაღებად, საშინაო და სახალხო მასწავლებლად,** აფთიაქის სამოწაფოდ და პირველი კლასის ჩინის მისაღებად. **იქვე იღებენ ანბანის უცოდინარ ბავშვებს.**

მიმართეთ: 1) ელისაბედ. ქუჩა, № 23, ბებურიშვილის ბინა, ნაშუადღევის 4—6 საათამდის, 2) ნიკოლოზის ქუჩა, № 92, ქარაცოვაძის ბინა, დილის 9—12 საათ., საღამოს 4—6 საათამდის, 3) ავჭალის შუკა (პერეულოკი), № 9, კოლიუბინის ბინა, ნაშუადღევის 3—4 საათამდე. (25—2 5— 5

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. ვ. ბგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბვეტისიანეი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანეი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ბვეტისიანეი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მარიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ. ნავასარდიანი.**
(წ. 1074.91)

იყიდება იაფად

გოლოვინის პროსპექტზე მდებარე ყოფილი ნიკიტნის ცირკის მასალები; სახელდობრ: ფიცრები, ბალკეტი, ბოძები, ჭახრაკები, გადასახურავი რკინა და კარები. იკითხეთ იქვე.
(3.543.1)

სამშობიარო
თავშესაფარ
ფუნდარეკლისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვ ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლეს გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარეებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე მრეიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და ზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგ ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში ან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და ახლლებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მ ამოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ.**
(თ. 1037.72) **ბ. ბ. ბ.